რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№16/თ **„15“ იანვარი, 2024 წელი**
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების სპეციალისტის ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - III რანგის - მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - გურამ რამიშვილისთვის ცალკეული მოვალეობების განსაზღვრის თაობაზე

რუსთავის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხდომების შეუფერხებლად წარმართვის ხელშეწყობისა და დაინტერესებული პირებისთვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ სასარგებლო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.court.ge) შექმნილია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებული გვერდი, რომლის გამართულად მუშაობის მიზნით, მიზანშეწონილად მიმაჩნია რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების სპეციალისტს ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - III რანგის - მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტს - გურამ რამიშვილს განესაზღვროს ცალკეული მოვალეობები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ***რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - III რანგის - მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - გურამ რამიშვილი ვალდებულია:***

   1.1. ყოველი სამუშაო დღის დაწყებისას გადაამოწმოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ოფიციალური ვებ გვერდის (www.court.ge) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებული გვერდი და დარწმუნდეს მის გამართულობაში. რაიმე სახის გაუმართაობის თაობაზე დაუყოვნებლივ მიმართოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ქსელის ადმინისტრატორს - ნელი უფლისაშვილს;

   1.2. უზრუნველყოს გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე, ნამდვილობა და პერიოდული განახლება;

1.3. დაუყოვნებლივ განაახლოს ინფორმაცია და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები, რომელიც მოიცავს:

ა) ინფორმაციას მიმდინარე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხდომების თაობაზე, მათ შორის ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებს;

ბ) განხილული საქმეების სტატისტიკას, განხილვის წლების, ბრალდებულ პირთა რაოდენობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და განხილვის დღეების ზუსტი მითითებით;

გ) მიღებული ვერდიქტის სახეებს, განხილვის წლების და პირთა რაოდენობის ზუსტი მითითებით;

დ) ინფორმაციას, თუ ვისი თავმჯდომარეობით იქნა განხილული საქმეები ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, საქმეთა რაოდენობების, ზუსტი მითითებით, ამასთან ინფორმაციას ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილულ საქმეებში ბრალდებისა და დაცვის მხარის წარმომადგენლების თაობაზე, საქმეთა რაოდენობების ზუსტი მითითებით.

1.4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ საკანონმდებლო ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ განაახლოს და შესაბამისობაში მოიყვანოს ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს:

ა) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტს და მისი მიღების წესებს;

ბ) უფროსი მსაჯულისა და სათადარიგო მსაჯულის ფუნქციებს, უფლებებსა და მოვალეობებს;

გ) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობას, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის წესს და სხვ.

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სასამართლოს მენეჯერს;

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2023 წლის 22 მაისის №247/თ ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. რუსთავი ბოსტან ქალაქის ქ. №6).

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს

თავმჯდომარე